2ჩ
603 ~ 10278

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

1 ივლისი, შაბათი, 1989 წ.
№ 125 (10 044) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

1989

საკავშირო ახალგაზრდული სპორტული თამაშები

საქართველოს სპორტსმენთა მონაპოვარი:

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტები გიორგი ხოჯიშვილი, ვაჟა დანელია და თენგიზ თოლაშვილი დონეცკიდან და ვოროშილოვგრადიდან ტელეფონით გვატყობინებენ:

ოქროს მედლები:

● სინქრონული ცურვა — **ხრისტინა ფალასინიდი** (ერთეულთა შეჯიბრება)

ხრისტინა ფალასინიდი — ნინო მაისურაძე (წყვილები, ორივე პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, თბილისი).

● ძიუდო — **დავით ხახალეიშვილი** (მძიმე წონა, „დინამო“, ქუთაისი).

ვერცხლის მედალი

● ძიუდო — **ზაზა დაბრუნდაშვილი** (მძიმე წონა, ასკ, თბილისი).

ბრინჯაოს მედალი

● ძიუდო — **ვეფხვია კაპანაძე** (+95 კგ, ხაშური, „დინამო“).

„ოქრო“, კიდევ „ოქრო“!

ხრისტინა ფალასინიდი

ოქროს მედალი, თანაც ორი, ნებისმიერი გუნდისთვის ოცნებაა. საქართველოს სინქრონული ცურვის ოსტატებმა ეს ოცნება რეალობად აქციეს. ასეთ წარმატებას ცოტა თუ მოელოდა, რადგან დონეცკის საცურაო აუზში ქვეყნის უძლიერესმა სპორტსმენებმა მოიყარეს თავი. ასპარეზობის პირველ ორ დღეს ერთეულთა და წყვილთა შეჯიბრებაში ჩემპიონობისთვის იბრძოდნენ სეულის ოლიმპიური თამაშების მონაწილენი, ევროპის თასის მფლობელი თბილისელი ხრისტინა ფალასინიდი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ელექტროსტალელი ვერა არტიომოვა, ევროპის თასის მფლობელი ჯგუფურ ვარჯიშში კიეველი ელენა ფოშჩევსკაია, იუნიორთა შორის ევროპის ჩემპიონები მოსკოველები ელენა აზაროვა, ოლგა სედაკოვა, კიეველი ოლგა პილიპჩუკი, თბილისელი ნინო მაისურაძე, საკავშირო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი მოსკოველი განა მაქსიმოვა და სხვები.

კონკურენცია დიდი იყო, მაგრამ სავალდებულო პროგრამით გამოსვლის შემდეგ ნათელი გახდა, რომ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის II კურსის სტუდენტ ხრისტინა ფალასინიდის ერთეულთა ასპარეზობაში პირველობას ვერავინ შეეცილებოდა. ასეც მოხდა. ნებისმიერ პროგრამაში მან დაამტკიცა თავისი უმაღლესი კლასი — უზადოდ შესრულა გამოსვლა, დააგროვა 188,80 ქულა და ჩემპიონი გახდა. მეორე ადგილზე გავიდა აზაროვა, რომელიც გამარჯვებულს მთელი 3,53 ქულით ჩამორჩა, მესამე ადგილი ოლგა სედაკოვამ დაიკავა — 184,46.

ერთეულთა ასპარეზობაში, სადაც სავალდებულო პროგრამით 101 მონაწილე, ხოლო ნებისმიერი პროგრამით წინასწარ შეჯიბრებაში 35 სპორტსმენი გამოვიდა, ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ათმა, მათ შორის იყო კიდევ ერთი თბილისელი, ასევე ფიზკულტურის ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი ნინო მაისურაძე. იგი ფინალში VI შედეგით შევიდა, საბოლოოდ კი VIII ადგილი ხვდა. სამაგიეროდ, წყვილთა პაექრობაში ფალასინიდისთან ერთად ყველას აჯობა და დონეცკის უნივერსიტეტის საცურაო აუზში მეორედ აჟღერდა საქართველოს ჰიმნი. თბილისელებმა 186,48 ქულით ჩემპიონობა მოიპოვეს. შემდეგ მოდის ელენა აზაროვასა და ნატალია გრუზდევას დუეტი (მოსკოვი) — 184,42, ხოლო მესამე ადგილზე ტყუპებმა ოლგა და ტატიანა სედაკოვების (მოსკოვი) წყვილი გავიდა — 181,26.

ქუთაისელებმა მანანა ჩანქსელიანმა და ელისო მარგველაშვილმა მეცამეტე ადგილი დაიკავეს — 168,02.



ნინო მაისურაძე

გუნდურ ჩათვლაში, ორი სახეობის შემდეგ, ლიდერობს მოსკოვის ნაკრები — 135 ქულა, მეორე ადგილზეა საქართველოს გუნდი — 92, მესამეზე უკრაინა — 74.

და კიდევ... ბრინჯაოს მედალი

დონეცკში ხრისტინა ფალასინიდი შეჯიბრებამდე რამდენიმე საათით ადრე ჩამოვიდა. წინა დღის საღამოს იგი ესპანეთიდან ჩაფრინდა მოსკოვში, ნაშუაღამევს უკვე დონეცკში იყო. დილიდან კი თამაშებში ჩაება.

რა ხდებოდა ესპანეთში? იქ გაიმართა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც პლანეტის უძლიერესმა სპორტსმენებმა მოიყარეს თავი. ფაქტობრივად ეს იყო მსოფლიოს ჩემპიონატის ტოლფასი ასპარეზობა. ხრისტინა ფალასინიდიმ ერთეულთა შეჯიბრებაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ჩვენი სპორტსმენი საუკეთესო იყო საბჭოთა ნაკრებიდან.

უკვე სამი მედალი

ძიუდოისტთა ტურნირის მიმოხილვა თითქმის ტრადიციული სასიხარულო ცნობით გვინდა დავიწყოთ, ოღონდ წინდაწინ ისიც ვიტყვით, რომ ამ სიხარულს შემდეგ ცოტა სინანულიც გაერია.

მაშ ასე, მძიმე წონის ათლეტთა ასპარეზობის ფინალში გავიდნენ ჩვენები — ქუთაისელი დავით ხახალეიშვილი და თბილისელი ზაზა დაბრუნდაშვილი. ერთმაც და მეორემაც ბრწყინვალედ წარმართეს წინასწარი შეხვედრები: ხახალეიშვილმა პირველ და მეორე შერკინებაში ლამაზი გდებით წმინდად დაამარცხა ფრუნზელი მაგომედ შადიევი და სამარყანდელი მაქსიმ ვასილიევი. იგი მესამე წრეში უგებდა ცნობილ მაიკოპელ მოჭიდავეს ვალერი კოპლევს. ამასთან კოპლევმა უფრო მეტი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით რამდენჯერმე სცადა ტატამიდან გაქცევა, რისთვისაც გაფრთხილების სრული კომპლექტი მიიღო და ხახალეიშვილს სუფთა გამარჯვება მიენიჭა.

დავით ხახალეიშვილი

ფინალისკენ იგივე გზა გაიარა ზაზა დაბრუნდაშვილმაც. მას თითო წუთიც კი არ დასჭირდა რათა დაემარცხებინა ლენინგრადელი დენის სტეფანოვი და მინსკელი ვიტალი ფავოროვი. მეორე წრეში კი ცოტა მეტ ხანში ასევე სუფთად მოუგო ჯამბულელ ანდრეი კონდრატოვს. ეს გახლდათ ჩვენი ფალავნების სრულიად კანონზომიერი გამარჯვება. **ფინალში ჩვენი ორი ფალავანი ერთმანეთს აღარ შეხვდნენ. უარი განაცხადა დაბრუნდაშვილმა, რაც გუნდური პირველობისთვის ბრძოლის ტაქტიკით იყო ნაკარნახევი.**

აშკარად შეეძლო ფინალში გასვლა ხაშურელ ვეფხვია კაპანაძესაც (+ 95 კგ), ორი დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ იგი იუკოს უგებდა ჩელიაბინსკელ გივი გაურდაშვილს, მაგრამ ბოლო წამებში შებოჭვაში მოჰყვა და დამარცხდა. **საბოლოოდ ჩვენს ძიუდოისტს მესამე ადგილი ხვდა.** ამ წონაში დამარცხდა ჩვენი მეორე ფალავანი ახმეტელი ვასილ იორამაშვილიც.

ზაზა დაბრუნდაშვილი

დონეცკში საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ორი გუნდით ასპარეზობს (საქართველოსა და თბილისის ნაკრებები) და ამიტომ ყოველ წონაში ორი მოჭიდავე გამოჰყავს.

თამაშების სხვა შეჯიბრებების შესახებ მასალებს გთავაზობთ მე-4 გვერდზე.

◆ ◆ ◆

გამოსათხოვარი მატჩი

კიევი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.) ქალაქის 100-ათასიან რესპუბლიკურ სტადიონზე ტევა არ იყო 28 ივნისს, როცა აქ მოეწყო კიევის „დინამოს“ პოპულარული ფეხბურთელის ოლეგ ბლოხინის გამოსათხოვარი მატჩი. მაყურებელი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს შეუპოვარ და ამავე დროს სახალისო მატჩს, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთაგან შემდგარი ნაკრები გუნდები. თამაში დამთავრდა ფრედ — 3:3 (1:1), მისი მთელი შემოსავალი გადაეცა ვ. ი. ლენინის სახელობის ბავშვთა საბჭოთა ფონდს.

საინტერესოა მეტოქეთა შემადგენლობანი: მსოფლიოს ვარსკვლავთა ნაკრები — ჟან-მარი პფაფი (ბელგია), კლაუდიო ჯენტილე (იტალია), ხოსე კირარტე (მექსიკა), დრაგან სტოიჩი (იუგოსლავია), ული შტილიკე (გფრ), ბრანკო კასალო (იუგოსლავია), „ჯან-კარლო ანტონიონი (იტალია), პაულ ბრაიტნერი (გფრ), დომენიკ როშტო (საფრანგეთი), ლაიოშ დეტარი (უნგრეთი), დუშან სავიჩევიჩი (იუგოსლავია). მეორე ტაიმში შემცვლელებად გამოვიდნენ ბერნდტ ფორსტერი (გფრ), ელიო ოხანა (ისრაელი), დირსეუ (ბრაზილია) და ოლეგ ბლოხინი (სსრკ): **სსრ კავშირის ნაკრები:** ჩანოვი, ბესონოვი („დინამო“, კიევი), ჩივაძე („დინამო“, თბილისი), ბალტაჩა („დინამო“ კიევი), იგი ინგლისიდან ჩამოვიდა მატჩში მონაწილეობისთვის, გორლუკოვიჩი („ლოკომოტივი“, მოსკოვი), ლუჟნი („დინამო“, კიევი), ალეინიკოვი („დინამო“, მინსკი), ჩერენკოვი („სპარტაკი“, მოსკოვი), ბოროდიუკი („დინამო“, მოსკოვი), ი. სავიჩევი („ტორპედო“, მოსკოვი), ბელანოვი („დინამო“, კიევი). ჩვენს ნაკრებში მეორე ტაიმში ითამაშეს, აგრეთვე, ბლოხინმა, კუზნეცოვმა, ოპანესიანმა, იარემჩუკმა, ბალმა, ლიტოვჩენკომ, როდიონოვმა და ჩერჩესოვმა.

ბურთები გაიტანეს: ბოროდიუკმა, სავიჩევიჩმა, დირსეუმ, ბლოხინმა, ბელანოვმა და ბალტაჩამ.

მატჩი იმსაჯა ა. სპირინმა, მას ეხმარებოდნენ ს. ჰუსაინოვი და ა. პოპოვი (ყველა — სსრ კავშირი).

ფეხბურთის გამოჩენილ ოსტატთა თამაში, მართლაც, შესანიშნავი სანახაობა იყო, ისინი მოქმედებდნენ თავისუფლად, ლაღად, ქულების „პასუხისმგებლობა“ ამჯერად არ აწუხებდათ, ამიტომ მათს იმპროვიზაციას „ფართო ასპარეზი მიეცა. ფეხბურთის ურთულესი ილეთები სრულდებოდა ლამაზად, ეფექტურად, პარტნიორებმა ძალ მცირე ხანში გამონახეს ერთმანეთთან საერთო ენა და ასეთმა თავისუფალმა, ვირტუოზულმა ფეხბურთმა არა მარტო სტადიონზე დამსწრეთა, არამედ ურიცხვ ტელემაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

საჯარიმო დარტყმები მატჩის მსვლელობაში იშვიათად თუ ინიშნებოდა, გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ მეკარე ჩერჩესოვი, რომელმაც აშკარად უხეშად ითამაშა სპასიჩთან შეტაკებისას, რისთვისაც მსაჯისგან ყვითელი ბარათი დაიმსახურა, დ. სპასიჩი კი იძულებული იყო მინდორი დაეტოვებინა.

საფეხბურთო მატჩის გარდა კიევის სტადიონზე ამ დღეს სხვა საინტერესო სანახაობაც გაიმართა, გამოდიოდნენ ფოლკლორული ანსამბლები, ორკესტრები, ცალკეული შემსრულებლები.

იხ. მე-3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჩემპიონატი რაგბიში

ქუთაისი. სარაგბო მოედანი. 28 ივნისი.

„აია“ (ქუთაისი) — „სლავა“ (მოსკოვი) 19:10 (4:4).

„აია“: ზუევი; ხარშილაძე, ო. ლიპარტელიანი, გეგუჩაძე, ხამაშურიძე; ძაგნიძე, ლოსაბერიძე; ფირცხალავა, ტურძელაძე, ლილუაშვილი (ჯინჭარაძე, 61); ფხაკაძე, ოდიშარია (ზ. ლიპარტელიანი, 41), ისაკაძე, შავგირაძე; ნემსიწვერიძე.

„სლავა“: ნეფიოდოვი; ბერზინი, შიშკოვი, ფომინი, ზალონკინი; პარშინი, დემიდოვი; ხამარდინი, მოლჩანოვი, სტრელნიკოვი; ფედორკოვი, მედვედსკი, ნილოვი (კონფეტოვი, 45), ვალიალშჩიკოვი; ბარინოვი.

მსაჯი — სერგი საენკო (მოსკოვი).

გოლები: „აია“ — 2 ლელო (9, გეგუჩაძე; 51, ჯგუფური), გარდასახვა (51), 2 საჯარიმო (52, 61) და არეკნი (59): ძაგნიძე; „სლავა“ — ლელო (44, შიშკოვი), 2 საჯარიმო (67, 71: ბერზინი).

ძველ მეტოქესთან „აიამ“ ისეთი ტემპით დაიწყო თამაში, მის ქომაგებს შიშიც კი შეგვეპარა, ვაითუ ჩვენებს პაპანაქება სიცხეში გამძლეობამ უღალატოს და ძალა მთელი მატჩისთვის არ ეყოთ. მაგრამ, როგორც შემდგომ ვნახეთ, სიცხის შიში უსაფუძვლო ყოფილა. საშიშარი და მოსარიდებელი თურმე სულ სხვა რამ — სახელდობრ, „სლავას“ მოთამაშეთა წრეგადასული ხულიგნობა — გვქონია. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

„აიას“ თავდამსხმელებმა უკვე პირველივე შერკინებისას აგრძნობინეს სტუმრებს თავიანთი ძალა. ჩვენს ბიჭებს არც შემდეგ შეურცხვენიათ თავი. სადავო ბურთს მეტწილად ისინი ეუფლებოდნენ. ამ დღეს ბრწყინვალედ თამაშობდნენ ნახევარმცველები — ძაგნიძე და ლოსაბერიძე. ისინი უაღრესად გონივრულად წარმართავდნენ იერიშებს და მორკინალთა გარჯით მოპოვებულ ბურთს ხშირად აძლევდნენ სამმეოთხედელებს. პირველი ლელოც სწორედ ყველა სათამაშო რგოლის სამაგალითო, შეხმატკბილებული ურთიერთქმედების შედეგად გავიდა. სტუმართა იერიშის მოგერიების შემდეგ მორკინალებმა მოლი შექმნეს, წინ წაიწიეს, ლოსაბერიძემ ნახტომით გამოუტანა ბურთი ძაგნიძეს, მან კი ცრუ მოძრაობით გაარღვია დაცვის ხაზი და ბურთი მარცხნივ გადააწოდა სამმეოთხედელებს; მათაც დიდებულად გაშალეს მარაო და ერთი ამოსუნთქვით გათამაშებული შვიდსვლიანი კომბინაცია მარცხენა ალამთან ლელოს გატანით დააგვირგვინეს.

თამაშის სურათი არც ქუთაისელთა დაწინაურების შემდეგ შეცვლილა. „სლავას“ ხელ-ფეხი შებორკილი ჰქონდა, მასპინძელთა ოსტატობას ვერაფერს უპირისპირებდა. ამან სტუმრები, ეტყობა, გააგულისა და გაავა; სტრელნიკოვი დროს უქმად არ კარგავდა: ყოველ მოლში, ზედახორასა თუ შერკინებაში წიხლებითა და მუშტებით უმასპინძლდებოდა ქუთათურებს, მსაჯი კი თანაქალაქელთა ხულიგნობაზე თვალს ხუჭავდა. მეტიც, პირველი ტაიმის მე-40 წუთზე ვალიალშჩიკოვმა ისარგებლა იმით, რომ საენკო იერიშის განვითარებას უყურებდა და მისთვის არ ეცალა, მთელი სტადიონისა და თანამსაჯის თვალწინ ნოკაუტში გაგზავნა ოდიშარია. თამაში ხუთი წუთით შეწყდა. ქუთაისელები თანამსაჯის დანამუსებას შეეცადნენ, მაგრამ მოსკოვიდან მოვლენილი მთელი სამსაჯო ბრიგადა შეუვალი აღმოჩნდა, მოსკოველი კომისარი კი იმდენად გაკადნიერდა, რომ ოდიშარიას, რომელსაც ტვინის შერყევა აღმოაჩნდა, სიმულანტობაც კი დასწამა. როცა მატჩი განახლდა, მომხდარით გაოგნებულ და მეგობრის ბედით შეწუხებულ მასპინძლებს, ცხადია, აღარ ეთამაშებოდათ, რითაც მშვენივრად ისარგებლა „სლავამ“ და მსაჯის მიერ პირველი ტაიმისათვის წამატებულ დროში ლელოც გაიტანა.

შესვენებისას ქუთაისელები დაწყნარდნენ, ძალა და ნებისყოფა მოიკრიბეს, არ აჰყვნენ გრძნობებს და მეორე ტაიმში თავგასულ სტუმრებს სამაგიერო ბრწყინვალე თამაშით გადაუხადეს. ძაგნიძემ მთელი გუნდი აიყოლია: თავად შეაგდო ორი საჯარიმო და ერთი არეკნი, გარდასახა მთელი გუნდის ძალისხმევით გატანილი ჯგუფური ლელოც, როცა ათმა ქუთაისელმა „სლავას“ კარის ხაზიდან ხუთ მეტრში დანიშნული საჯარიმოს გათამაშებისას ძალით გადაიტანა ბურთი ხაზსიქით. ქუთაისელები 15 ქულით დაწინაურდნენ და თუმცა „სლავამ“ დარჩენილ დროში ორი საჯარიმო შეაგდო, ამით „აიას“ გამარჯვებას არაფერი მოჰკლებია.

თამაზ ხარაბაძე,
„ლელოს“ საკ. კორ.
ქუთაისი.

• • •

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 28 ივნისი.

„ელმავალი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 40:3 15:3.

„ელმავალი“: საცერაძე; ა. ხვედელიძე (მანთიძე, 75), მარჯანიშვილი, თავაძე, ნატროშვილი (ღვინიაშვილი, 76); ჩავლეიშვილი, ჰეიშვილი (ქერაული, 77); ბაკურაძე, კაკაბაძე, კ. გიუნაშვილი; ჯაფარაშვილი, ღიბრაძე, ხუაძე, გ. გიუნაშვილი; მონიავა.

„სპარტაკი“: ფალეევი: ჟილცოვი, ბელიაევი, ოტრადნოვი, ბახტოვი; კალიუჟნი (სადოვი, 55), ენგალიჩევი; ლუკიანიჩევი, გლოტიკოვი, კორჩაგინი; ზვაიგზნე, ბელოლიპეცკი (ზაიკოვსკი, 42), ბოგდანოვი, ფომინი; სენინი.

მსაჯი — ვადიმ რაზდორსკი (მოსკოვი).

გოლები: „ელმავალი“ — 7 ლელო (5, ნატროშვილი; 21, ჩავლეიშვილი; 40, შეიშვილი; 44, მარჯანიშვილი; 62, ჯაფარაშვილი; 78, ხვედელიძე; 81, ქერაული), 3 გარდასახვა (45, 63: ნატროშვილი; 81, მარჯანიშვილი) და 2 საჯარიმო (13, 67: ნატროშვილი); „სპარტაკი“ — საჯარიმო (8, ჟილცოვი).

შეხვედრის ანგარიში იმდენად მრავლისმეტყველია, რომ მეტოქეთა თამაშის ავ-კარგის გამოწვლილვით განხილვა, ჩვენი აზრით, სრულიად ზედმეტია. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მოედანზე სხვადასხვა კლასის გუნდები იყვნენ. თუ „ელმავალს“ გამარჯვება ოდნავადაც არ აეჭვებდა და თავისი ნება-სურვილის მიხედვით წარმართავდა თამაშს, „სპარტაკი“, რაკილა წარმატებისა არ სჯეროდა, თავს ლაღად გრძნობდა და, როცა მეტოქე ოდნავ მოდუნდებოდა, მაშინღა გამოაჩენდა თავის „კლანჭებს“. პაპანაქების მიუხედავად, მასპინძლებმა ამ დღეს მაინც იჯერეს გული ბურთის გათამაშებითა და დაბნეულ მეტოქეთა შორის ნავარდით, შვიდი ლელოც გაიტანეს, მაყურებელს კი მაინც გამოცანად დაუტოვეს ის, თუ როგორ მოახერხეს პირველ წრეში ასეთ უსუსურ მეტოქესთან წაგება. სხვა მხრივ, ჩვენების თამაში, უფრო სწორად კი შემადგენლობაში, ის გვენიშნა, რომ მოედანზე მოულოდნელად ვიხილეთ 70-იანი წლების დამლევის „ლოკომოტივის“ სახელგანთქმული გუნდის კაპიტანი, 42 წლის ავთო ღიბრაძე, რომელმაც არ დაიზარა და შერკინების მეორე ხაზში მსუბუქად დაშავებული „მემკვიდრეების“ — რაფავასა და მექვაბიშვილის ადგილი დაიკავა, რითაც მათ გადამწყვეტი მატჩების წინ ტრავმების მოშუშების საშუალება მისცა.

სხვა შეხვედრათა შედეგები: „სლავა“—ასკ (ალმა-ათა) 53:10 (XVII ტურის მატჩი), „ზვეზდა“ (ტაშკენტი) — ეტს (კრასნოიარსკი) 18:29, „ელექტრომაში“ (ტირასპოლი)— „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 0:10, ასკ — სსა (მონინო) 22:26, „ავიატორი“(კიევი) — „ფილი“ (მოსკოვი) 6:19.

ახლახან რაგბის საკავშირო ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ ხელმეორედ განიხილა ასკ — „ელმავლის“ 4 მაისს არშემდგარ მატჩთან დაკავშირებული გარემოებანი, ყური არ ათხოვა რაგბის რესპუბლიკური ფედერაციის პროტესტს, არც „აეროფლოტის“ მიერ გაცემული ცნობები გაითვალისწინა, ალმა-ათაში თბილისელთა ჩაუსვლელობის მიზეზს რომ ჰფენდა ნათელს და ჩვენების უდანაშაულობას ადასტურებდა, და უცვლელად დატოვა ძველი, ნაჩქარევად და საქმეში ჩაუხედავად მიღებული, უსამართლო გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც „ელმავალს“ გაცდენილ თამაშში არა მარტო დამარცხება ჩაეთვალა, არამედ, დებულების თანახმად, დამატებით ერთი ქულითაც დაჯარიმდა. ამიერიდან ეს სანქცია ასახული იქნება ჩვენს ცხრილებში.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 ივლისისთვის

	თ.	შ.	ს.	მ.	ფ.	წ,	ქ.
ეტს	18	9	9	14	0	4	28
სსა	16	7	9	12	1	3	25
„აია“	17	8	9	11	3	3	25
„ლოკომ.“	18	11	7	12	0	6	24
„სლავა“	18	9	9	9	2	7	20
„ფილი“	18	10	8	8	3	7	19
„ელმავ.“	18	7	11	7	3	7	16
„ავიატ.“	18	8	10	7	1	10	15
„ელექტ.“	17	9	8	7	1	9	15
ასკ	18	9	9	5	1	12	11
„ზვეზდა“	18	10	8	5	1	12	11
„სპარტ.“	18	9	9	1	0	17	2

დღეს „აია“ უმასპინძლებს „ზვეზდას“, „ელმავალი“ — ასკ-ს.

სპორტული სკოლები მუშაობას არ წყვეტენ, დღეიდან ისინი გამაჯანსაღებელ ბანაკებში აგრძელებენ ნორჩ სპორტსმენთა დაოსტატებას ● ზაფხული-89

სპორტის, შრომის, დასვენების...

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს 1982 წლის 5 ოქტომბრის დადგენილებით პროფკავშირების ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის მოსწავლეები ზაფხულის არდადეგებს ატარებენ სპორტულ გამაჯანსაღებელ ბანაკებში, რომელთა მიზანია სასწავლო-საწვრთნელი პროგრამის გაგრძელება. მოსწავლეთა სპორტული ოსტატობის ამაღლება, ჯანმრთელობის გაკაჟება, აქტიური დასვენების პირობებში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოცდილების განმტკიცება. რა მდგომარეობა გვაქვს საქართველოში?

გვესაუბრება სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე მანანა კობახიძე.

— **ივლისის** პირველ რიცხვებში რესპუბლიკის ტერიტორიაზე პროფკავშირების ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სასპორტო სკოლებისათვის ცხრა სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკს გავხსნით. შევარჩიეთ ისეთი სკოლა-ინტერნატები, სადაც ნორმალური საცხოვრებელი პირობები და შესაბამისი სპორტული ბაზებია, ბანაკების ორივე ნაკადში 5000-მდე ნორჩი სპორტსმენი დაისვენებს, რაც შარშანდელ მაჩვენებლებს 600-ით სჭარბობს.

● კონკრეტულად ხომ ვერ დაგვისახელებდით, რომელი ბანაკი სად გაიხსნება და რამდენ მოსწავლეს მიიღებთ?

— ლენინგორის სკოლა-ინტერნატის ბაზაზე გაიხსნება სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი, რომელშიც ორ ნაკადად ოსტატობას აიმაღლებენ ბავშვთა და მოზარდთა მძლეოსნობის რესპუბლიკური სასპორტო სკოლის აღსაზრდელები (სულ 400 მოსწავლე), ბათუმის 26-ე საშუალო სკოლის ბაზაზე მოკრივეები (240) დაისვენებენ, თიანეთის სკოლა-ინტერნატში არდადეგებს აკრობატები (600) გაატარებენ. ყაზბეგის რაიონის სოფელ გველეთში საველე პირობებში იცხოვრებენ მთამსვლელები (400), ასევე, საველე პირობებში მოუწევთ ყოფნა ბორჯომის რაიონის სოფელ გვერდისუბანში ნორჩ ტურისტთა რესპუბლიკური სადგურის აღსაზრდელებს (750), ლანჩხუთის სკოლა-ინტერნატის ბაზას რუსთავის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის სპორტსმენები (322) ეწვევიან. ახალციხის სკოლა-ინტერნატის მოედნები მძლეოსნებს (600) დაეთმობათ, საგურამოს სკოლა-ინტერნატის დარბაზი — ტანმოვარჯიშეებს (280). ფრენბურთელები (400) ბარისახოს სკოლა-ინტერნატს ეწვევიან. გარდა ზემოაღნიშნული რესპუბლიკური სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკებისა, გაიხსნება სამი რაიონული მნიშვნელობის ბანაკიც. წითელწყაროს მესამე საშუალო სკოლის ბაზაზე რაიონის სპორტსკოლის მოსწავლეები (400) იმეცადინებენ სპორტის რამდენიმე სახეობაში, ხოლო ზუგდიდის რაიონის სოფელ ზედაეწერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმისა და თელავის სტადიონის სპორტული კომპლექსები მოცურავეებს (400-300) უმასპინძლებს. უკვე აღვნიშნეთ, რომ წლეულს შარშანდელთან შედარებით გაიზარდა დამსვენებელთა რაოდენობა. ეს იმითაა გამოწვეული, რომ რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტრომ თავის სასპორტო სკოლებს მეტი რაოდენობით გამოუყო ის სკოლა-ინტერნატები, რომლებსაც სპორტული პროფილის გათვალისწინებით საუკეთესო ბაზები აქვთ.

● ბანაკებში, გარდა საწვრთნელი ვარჯიშებისა, რა სახის ღონისძიებები ჩატარდება?

— როგორც წესი, მოსწავლეებს ორჯერადი ვარჯიშები უტარდებათ. უფრო მეტი ყურადღება ფიზიკურ მომზადებაზეა გადატანილი. თავისუფალ დროს კი მოეწყობა ლაშქრობები, კინოფილმების ჩვენება, ექსკურსიები ღირსშესანიშნავი ადგილების გასაცნობად, შეხვედრები ადგილობრივ ახალგაზრდობასთან. ბავშვები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სპორტულ ღონისძიებაში... მაგალითად, შარშან აკრობატებმა თიანეთში რაიონის ფიზკულტურელებთან ერთად დიდი სპორტული ზეიმი ჩაატარეს. ნორჩი სპორტსმენები დახმარების ხელს გაუწვდიან სოფლის მშრომელებს. შარშან რუსთავის სპორტული სკოლის აღსაზრდელებმა ხელშეკრულება დადეს ახმეტის რაიონის ერთ-ერთ კოლმეურნეობასთან და იქ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები შეასრულეს. სამაგიეროდ, კოლმეურნეობა ბანაკს ხილით ამარაგებდა უფასოდ. მოსწავლეთა ასეთი საქციელი გასაკვირი არ არის, რადგან მათი სასარგებლო შრომით საქმიანობაში ჩაბმა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების დებულებითაცაა გათვალისწინებული. სპორტის, შრომისა და აქტიური დასვენების შეხამება ჩვენს სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკებში არც წელს იქნება გამონაკლისი.

ესაუბრა ვაჟა დანელია.

ბანაკს სპორტი ახალისებს

ბავშვების მხიარული ყიჟინითა და ხმამაღალი შეძახილებით შეგვეგება მწვანეში ჩაფლული კიკეთის პიონერთა ბანაკი „პოლიტექნიკოსი“ (უფროსი — სპი-ის ზოგადი და თეორიული ელექტროტექნიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი გელა ნიკურაძე, უფროსი პიონერხელმძღვანელი — ეთერ ჯავახიშვილი).

ეს ბანაკი თერთმეტი წლის წინათ გაიხსნა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომელთა შვილებისა და შვილიშვილებისათვის. წლეულს აქ ისვენებს. სხვადასხვა ასაკის 120-მდე მოზარდი, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა წრეებსა და ღონისძიებებში. ნორჩებს ყველაზე მეტად სპორტული შეჯიბრებები იტაცებთ. ეს არცაა გასაკვირი, რადგან დამსვენებელთა უმრავლესობა თანრიგოსანი სპორტსმენია. მათ შორის ყველაზე ტიტულოვანია სპორტის ოსტატობის კანდიდატი ჩოგბურთში მანანა გაგოშიძე. სპორტულ ღონისძიებებში მას ტოლს არ უდებენ მხატვრული ტანმოვარჯიშე შორენა ბორაშვილი, კალათბურთელები ირაკლი ბერიძე და ბონდო სუპატაშვილი, ფეხბურთელები თემურ მენოგლიშვილი და რევაზ ჩაკვეტაძე, მაგიდის ჩოგბურთელი ზურაბ დონდუა, ჩოგბურთელი ზურაბ ჩაკვეტაძე, ტანმოვარჯიშე გოგა კასრაძე და სხვები. მათ უკვე მოაწყვეს ლაშქრობა კოჯრის ციხეზე, აქტიურად ჩაებნენ შიგასაბანაკო სპარტაკიადაში. მაგიდის ჩოგბურთელთა პაექრობაში პირველობა არავის დაუთმეს მანანა გაგოშიძემ და აკაკი დონდუამ. აკაკიმ 100 მეტრზე რბენაშიც იმარჯვა. მინიფეხბურთელთა ტურნირში უძლიერესის სახელი „იბერიამ“ მოიპოვა. საუკეთესო მოთამაშის პრიზი „ეგრისის“ გუნდის წევრმა რევაზ ჩაკვეტაძემ დაიმსახურა...

მზედაკრულ გოგო-ბიჭებს წინ კიდევ მრავალი ღონისძიება და საინტერესო დღეები ელით.

„ლელოს“ კორ.

სურათებზე: ბანაკის „სპორტული დღე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუნდი და გუნდი ვარსკვლავთა...

მართლაც მსოფლიოს მრავალი „მოკაშკაშე ვარსკვლავი“ ვიხილეთ ამ დღეს კიევის რესპუბლიკურ სტადიონზე (მატჩს ზუსტად 100062 მაყურებელი ესწრებოდა). მსოფლიოს ნაკრების შემადგენლობაში მწვრთნელმა, სახელგანთქმულმა ფრანც ბეკენბაუერმა გამოიყვანა ბელგიელი პფაფი, იტალიელები ჯენტილე და ანტონიონი (გუნდის კაპიტანი), დასავლეთგერმანელები ბრაიტნერი (იგი კიევში საკუთარი თვითმფრინავით ჩამოვიდა) შტილიკე და ფიორსტერი, ბრაზილიელი დირსეუ და სხვა. არანაკლებმა ვარსკვლავებმა მოიყარეს თავი საბჭოთა ნაკრებში (მწვრთნელი ვალერი ლობანოვსკი) — ბესონოვმა, ჩერენკოვმა, სავიჩევმა, პროტასოვმა, ლიტოვჩენკომ, ბელანოვმა, ჩივაძემ...

ამ მატჩის პერიპეტიები — ბლოხინის თამაში... ორივე გუნდში, მეკარე პფაფის კარის იმპროვიზირებული დაცვა და ა. შ. — ყველამ ნახა სატელევიზიო რეპორტაჟით, რომელსაც ბლოხინის თხოვნით ჩვენი თანამემამულე კოტე მახარაძე უძღვებოდა. სხვათა შორის, თამაშის შემდეგ ჩვენმა კომენტატორმა გვითხრა, რომ ამ საფეხბურთო მატჩმა-შოუმ მას დიდი სიამოვნება მოჰგვარა. კითხვაზე, თავისი რომელი ფრაზა დაამახსოვრდა ყველაზე მეტად რეპორტაჟიდან, გვიპასუხა: — „ის, როდესაც ვთქვი, რომ „კიევურ შოუს“ ყველაზე კარგად ალღო მეკარე პფაფმა აუღოო“. სავსებით ვეთანხმებით მას.

სხვათა შორის, ბლოხინის შოუ-ბენეფისი სამი დღისაგან შედგებოდა. ჯერ იყო გრანდიოზული შეხვედრა სპორტის სასახლეში დევიზით: „ხელოვნების ვარსკვლავები — სპორტის ვარსკვლავებს!“ სხვებთან ერთად სცენაზე მისალმებით გამოსულებმა სოფიკო ჭიაურელმა და კოტე მახარაძემ ბლოხინს ბევრი თბილი სიტყვა უთხრეს და საჩუქრად ვერცხლის ხანჯალი გადასცეს.

დაუვიწყარი იყო მომენტი, როდესაც პროგრამის წამყვანმა, ცნობილმა მოსკოველმა კონფერანსიემ ოლეგ მარუსიევმა ყველასთვის მოულოდნელად მიმართა დარბაზს. **„კაკ ვი ოტნოსიტეს კ გრუზინსკოი ნაციი?“**. პაუზა რამდენიმე წამს გაგრძელდა — გული საგულეს აღარ იყო, მეგონა საუკუნე გავიდა. უცებ ისეთმა ტაშმა იგრიალა, არ ვიცი, ჭერმა როგორ გაუძლო. ყველა ფეხზე ადგა, აქაიქ დროშებს აფრიალებდნენ, აპლოდისმენტები არ ცხრებოდა, მიკროფონთან წითელკაბიანი თამრიკო გვერდწითელი გამოჩნდა. მისი ახალი სიმღერა „მშვიდობით, მეფე!“ ყველამ აიტაცა. სიმღერა ცეკვაში გადავიდა. ცრემლმორეულმა ბლოხინმა თავისი ქალიშვილი, პატარა ირინა აიყვანა ხელში და აღელვებულმა კოცნა დაუწყო. სამ საათზე მეტს გრძელდებოდა ეს იშვიათი, თბილი იმპროვიზირებული საღამო.

მეორე დღეს, ასე ვთქვათ, პროგრამის მთავარი ნაწილი — თვით გამოსათხოვარი მატჩი შედგა. მესამე, დასკვნით დღეს კი კულტურის სასახლე „უკრაინამ“ უმასპინძლა. „გულახდილად ფეხბურთზე“ — ასეთი იყო საღამოს თემა. ოლეგ ბლოხინისა და გულშემატკივართა შორის გაიმართა მეტად საინტერესო, ზოგჯერ საკმაოდ მწვავე დიალოგი ფეხბურთზე.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ დღეებში ოლეგ ბლოხინი ყველაზე პოპულარული (თუმცა პოპულარობა მას ადრეც არ აკლდა) და მოუცლელი ადამიანი იყო კიევში. ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებოდით მისი გამოსახულებით ფოტოსურათებს, ბუკლეტებს, ვიმპელებს, სამკერდე ნიშნებს, მაისურებსაც კი... აი, საგანგებოდ გამოსული მისი და ჟურნალისტ დევი არკადიევის ერთობლივი წიგნი „ფეხბურთი მთელი ცხოვრების მანძილზე“, გამოჩენისთანავე გაქრა მაღაზიის თაროებიდან (იმ საღამოს ეს წიგნი აუქციონზე 500 მანეთად გაიყიდა!), ადგილობრივი ჟურნალისტების მხოლოდ დიდი მცდელობით შეხვდა იგი ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს. მასზე სამახსოვრო ავტოგრაფები გაგვიკეთა ოლეგის დედამ — წარსულში ქვეყნის ცნობილმა მძლეოსანმა ეკატერინა ადამენკომ და ბლოხინის შვილმა — 6 წლის ირინამ. ესაა, უზარმაზარი ბეჭდური ასოებით გამოყვანილ სახელს ექვსიანი უკულმა მიახატა.

სამახსოვრო ფოტო სსრ კავშირისა და მსოფლიოს ნაკრების ფეხბურთელებთან.

ინტერვიუ ოლეგ ბლოხინთან:

● **ვინ შეარჩია ამ მატჩისათვის „მსოფლიოს ვარსკვლავთა“ ნაკრების მოთამაშეები — თქვენ თუ ბეკენბაუერმა?**

— ფაქტიურად ორივემ. მე და ფრანცმა დავასახელეთ კანდიდატები ძირითადად ევროპული ფეხბურთიდან, გავუგზავნეთ ოფიციალური მოწვევა გულიტსა და ვან ბასტენს, ბრიგელსა და ტარანტინის, ფიორსტერსა და ჯენტილეს, პფაფსა და ანტონიონის, რაშტოს, სპასიჩს, შტილიკეს, ქირესს, ტიგანას, ბრაიტნერს... რამდენიმე მათგანს მე პირადად შევხვდი. უნდა გითხრათ, რომ ძალიან გამიჭირდა საუბარი ქერესთან და ტიგანასთან.

ალექსანდრე ჩივაძე და ოლეგ ბლოხინი მატჩის დაწყების წინ.

საქმე ის არის, რომ მათ ფრანგულის გარდა არც ერთი ენა არ იციან, მე კი, მოგეხსენებათ, ფრანგულზე გაგებაში არა ვარ. უმრავლესობამ მიიღო მოწვევა და შემპირდა, რომ რაიმე საგანგებო არ შეუშლიდა ხელს, 28 ივნისის მატჩზე უთუოდ ჩამოვიდოდა კიევში.

● **სასიამოვნოა, რომ ქართველი ფეხბურთელი ალექსანდრე ჩივაძეც ვიხილეთ „ბლოხინის მატჩში“...**

— მოწვევა მე სულაქველიძეს და შენგელიასაც გავუგზავნე შვეციაში, მაგრამ ვერ მოახერხეს ჩამოსვლა. ცხადია, ძალიან მინდოდა კიევში ჩემი მეგობარი დავით ყიფიანიც. მეხილა, ვიცი, რომ მასაც სურდა მწვეოდა, მაგრამ დათომაც ვერ შეძლო ეს.

● **ადრე დასტამბულ წიგნში „გოლის უფლება“ ყიფიანი და ჩივაძე საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევენ ბლოხინ-ფეხბურთელს. ყიფიანი გამოჩენილ მოთამაშეს, ფეხბურთის ვარსკვლავს გიწოდებთ. რაც შეეხება ჩივაძეს, იგი წერს, რომ ბლოხინი ფეხბურთში ისეთივე პიროვნებაა, როგორიც კიგანი, მარადონა, რუმენიგე. მე მუდამ მომწონდა მისი დამოკიდებულება ვარჯიშისადმი, თამაშისადმი, მხიბლავდა მისი სიმართლე და პირდაპირობა.**

— დავითი შესანიშნავი ადამიანია, ნამდვილი ინტელიგენტი. ასეთნი დღეს სპორტში ცოტანი არიან. მუდამ მსიამოვნებდა მისი გვერდით თამაში, წარმოიდგინეთ, მაშინაც მოხიბლული ვრჩებოდი, როცა ერთმანეთის მეტოქეები ვიყავით. დავითი ხომ კორექტული ფეხბურთელი იყო, თუ გნებავთ, ნამდვილი რაინდი. ჩემი არ იყოს, მასაც ჰქონდა ძნელი მომენტები ფეხბურთში, კიდევ შეეძლო სარგებლობის მოტანა ნაკრებისათვის, კერძოდ ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატზე. ფეხბურთის ჭეშმარიტი რაინდი გახლდათ ჩივაძეც. ალბათ წაიკითხეთ, ჩემს წიგნში ვწერ: „სწორედ ასეთებზე ამბობენ ხოლმე, რომ მასთან ომის დროს შეიძლება დაზვერვაზე წასვლა. ჩივაძისნაირები არასოდეს გიღალატებენ, მუდამ ამოგიდგებიან მხარში. გულდასაწყვეტია, რომ ისიც ასე ადრე წავიდა ნაკრებიდან და, საერთოდ, ფეხბურთიდან“.

● **ახლა არც კიევისა და არც თბილისის „დინამოთი“ არა ვართ კმაყოფილნი. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს დროებითია...**

— როდესაც ჩემპიონობისათვის არ იბრძვიან თბილისელი და კიეველი დინამოელები, ასეთი ჩემპიონატი მე ჩემპიონატად არ მიმაჩნია. ჩემი მშობლიური გუნდის თამაში კარგა ხანია არ მინახავს. ეტყობა, მაინც ძნელია ორ ფრონტზე ბრძოლა — კლუბისა და ნაკრების შემადგენლობაში. გავიგე, რომ ჩვენს გუნდში ბევრი ტრავმაა და ამიტომაც მას „დენთი“ არ ჰყოფნის. იმ დღეს „საფეხბურთო მიმოხილვაში“ ყიფიანის გამოსვლა მოვისმინე — ჩვენი გუნდის მოთამაშეთა საშუალო ასაკი ოცდაერთნახევარი წელიაო. თუ ეს ასეა, მჯერა, რომ ორ-სამ წელიწადში ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელები „ათამაშდებიან“. დღეს კი მათ ძალიან გაუჭირდებათ გამოცდილი ოსტატების წინააღმდეგ ბრძოლა. დიდად მჯერა ჩემი მეგობრების დავით ყიფიანისა და მურთაზ ხურცილავასი, დარწმუნებული ვარ, რომ ისინი შექმნიან ისეთ გუნდს, ქართულ ფეხბურთს რომ ეკადრება.

● **ვიცით, რომ ყიფიანისა და ხურცილავას, გარდა თქვენ თბილისში სხვა მეგობრებიც გყავთ, და არა მარტო ფეხბურთელთა შორის...**

ოსტატი და შეგირდი — დედა და შვილი: სპორტის დამსახურებული ოსტატი ეკატერინა ადამენკო 4 წლის ოლეგს მძლეოსნობაში ავარჯიშებდა.

— მუდამ მიყვარდა ქართველები, მუდამ პატივს ვცემ ამ ერს, მერწმუნეთ, იგი ჩემთვის ძალზე ახლოა ხასიათით, სულით. ქართულ მიწაზე მუდამ დააბიჯებდნენ დიდი ადამიანები. ასე იქნება მუდამ! როდესაც შევიტყვე 9 აპრილის ტრაგედია, თავზარი დამეცა. ავსტრიაში ამ უბედურების მასშტაბი მაინცა და მაინც ვერ ვიგრძენით. აი, აქ ჩამოსვლისას კი ჩემთვის ყველაფერს ფარდა აეხადა. მშვიდობიან დღეებში ადამიანთა მასობრივი მკვლელობა? ეტყობა, ჩვენი დემოკრატია და საჯაროობა ჯერ კიდევ ვერ მიდის საჭირო გზით!

● **ადრე თქვენ ბევრი უცხოური კლუბი, მათ შორის, მადრიდის „რეალი“ და ნიუ-იორკის „კოსმოსი“ გეპატიჟებოდათ. არჩევანი ავსტრიულ ფეხბურთზე შეაჩერეთ, როდემდე აპირებთ თამაშს შტაიერის „ფორვერტსში“?**

— კონტრაქტი უკვე მითავდება. ყველაფერი ახლა ამ კლუბის სპონსორებზეა დამოკიდებული. შეიძლება გავაგრძელოთ ხელშეკრულება, მით უფრო რომ „ფორვერტსი“ ახალ სეზონში უმაღლეს ლიგაში ითამაშებს... 38 წლის შესვენების შემდეგ.

● **და მაინც, მოთამაშის კარიერის დამთავრების შემდეგ მწვრთნელად თუ აპირებთ მუშაობას?**

— აუცილებლად! მხოლოდ, ცხადია, ჯერ არ ვიცი სად. იმ დღეს პრესკონფერენციაზე ჩინელმა ჟურნალისტმა მათ ქვეყანაში მწვრთნელად მუშაობა შემომთავაზა. ცხადია, მე მშობლიურ კლუბში უფრო მირჩევნია მოღვაწეობა. ამბობენ, რომ ვალერი ლობანოვსკი 1990 წლის შემდეგ ეთხოვება ნაკრებს და, მგონი, კიევის „დინამოსაც“ (როგორც უკრაინელმა კოლეგებმა გვითხრეს, მას იტალიის „რომა“ იწვევს. ო. ნ.), მაგრამ ისიც გავიგე, რომ კიევის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის ადგილი... უკვე სხვა მწვრთნელით ყოფილა „დაკავებული“, შესაძლოა ეს ბიშოვეციც იყოს.

● **ცნობილია, რომ თქვენ მაინცა და მაინც არ გქონდათ „თბილი დამოკიდებულება“ მწვრთნელებთან, კერძოდ, ბესკოვთან და ლობანოვსკისთან.**

— დავიწყებ იქიდან, რომ მე საერთოდ მუდამ დიდ პატივს ვცემდი მწვრთნელს — პედაგოგს, აღმზრდელს, ადამიანს. დღესაც სიყვარულით ვიგონებ ჩემს პირველ სკოლის მწვრთნელს ალექსანდრ ლეონიდოვს, დიდ პატივს ვცემდი მიხეილ კომანს, ვიქტორ მასლოვს, ალექსანდრ პონომარიოვს, ალექსანდრ სევიდოვს. საყოველთაოდ ცნობილია კონსტანტინ ბესკოვისა და ვალერი ლობანოვსკის დამსახურებაც. ბესკოვი ჭკვიანი ადამიანია, კარგი ფსიქოლოგი, მშვენიერი ტაქტიკოსი, მაგრამ ზოგჯერ ზედმეტი ემოციები ღალატობს მას. რაც შეეხება ლობანოვსკის, მასთანაც მუდამ საქმიანი, ოფიციალური დამოკიდებულება მქონდა.. ზოგჯერ დიამეტრალურად საწინააღმდეგო შეხედულებებს გამოვთქვამდით ერთსა და იმავე საკითხებზე, ერთი-ორჯერ საკმაოდ მწვავედაც შევკამათდით. მაგრამ ახლა ვგრძნობ, რომ პაექრობისას მუდამ შენს თავზე მაღლა უნდა იდგე, პატივი უნდა სცე ოპონენტს.

● **რას იტყვით საკავშირო სახსპორტკომის თავმჯდომარის მარატ გრამოვის თაობაზე, მას უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა აღარ მისცეს რეკომენდაცია ამ თანამდებობაზე?**

— სხდომას, ცხადია, მე არ დავსწრებივარ, მაგრამ წავიკითხე ჩვენი სასიქადულო ჰოკეისტის ანატოლი ფირსოვის წერილი უკრაინის ახალგაზრდულ გაზეთ „კომსომოლსკაია ზნამიაში“ — „რატომ არ მივეცი ხმა?“. თურმე მარატ ვლადიმირის ძე არ აპირებდა დეპუტატებთან მისვლას და აღნიშნულ სხდომაზე თავის მოადგილეს აგზავნიდა. ბოლოს მაინც მოვიდა, მაგრამ... არასპეციალისტებიც კი დარწმუნდნენ თავმჯდომარის პასუხებიდან, რომ იგი მოუმზადებელი და არაკომპეტენტურია. ექვს საათზე მეტს გრძელდებოდა ამ კანდიდატურის განხილვა, მაგრამ გრამოვმა — პრაქტიკულად არც ერთ კითხვას არ უპასუხა სრულად და არგუმენტირებულად. მან ვერ შეძლო (თუ არ მოისურვა!) ესაუბრა სპორტსახკომის ბიუჯეტზე, მისი აპარატის შენახვისათვის გამოყოფილ ხარჯებზე. ერთი სიტყვით, აშკარა გახდა, რომ ასეთი ხელმძღვანელი ჩვენს ფიზკულტურულ მოძრაობას არ სჭირდება. მე ვეთანხმები დეპუტატთა აზრს, მაგრამ აქვე მინდა დავძინო, რომ მთავარი მინისტრის შეცვლა კი არ არის, არამედ — მთელი ფიზკულტურულ-სპორტული სისტემის შეცვლაა, მის ნამდვილ პროფესიონალურ ნიადაგზე გადაყვანაა.

ისტორიულ მატჩში თამაშის დაწყება წილად ხვდა ცნობილი იტალიელი ფეხბურთელის ჩიკატოს (ტრაგიკულად დაიღუპა) ვაჟს, პატარა ფილიპო ჩიკატოს.

● **რადგან სპორტსახკომზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ საბჭოთა სპორტის ვარსკვლავები დიდად უკმაყოფილონი არიან, რომ უცხოეთის კლუბებში აღებული მათი კუთვნილი ჰონორარის უდიდესი ნაწილი სწორედ სპორტსახკომს რჩება...**

— რამდენი ერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, გავიხსენოთ თუნდაც ცნობილი კალათბურთელის ულიანა სემიონოვას ამბავი. ასეთივე მდგომარეობაში ვართ ფეხბურთელებიც. ალბათ, დროა ჩვენც გვყავდეს საკუთარი მენეჯერები, რომლებიც პირველ რიგში დაიცავენ სპორტსმენის ინტერესებს. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენი ფული ჩვენვე უნდა ვთვალოთ!

● **თქვენმა პატარა ირიშკამ ცეცხლოვანი ცეკვით მთელი სპორტის სასახლე მოიყვანა აღტაცებაში. რატომღაც მგონია, რომ მისგან თავის დროზე მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი დადგება.**

— პატარა ირინაზე უკეთ ამ შეკითხვაზე მეც და თქვენც, ალბათ დიდი ირინა გვიპასუხებს.

ირინა დერიუგინა:

— უნდა გამოგიტყდეთ, რომ ირიშკას გამოსვლა პროგრამაში თავდაპირველად არ შედიოდა. თვითონ აიტეხა — მეც უნდა გამოვიდე მამაჩემის საღამოზეო. ძალიან უყვარს მაიკლ ჯექსონის სიმღერები და ერთ-ერთ მის მელოდიაზე რაღაც სასაცილო ცეკვა მოიგონა. ძალიან მოგვეწონა. სუფთა იმპროვიზაციაა. მის სპორტსმენობაზე, ცხადია, უკვე ვფიქრობთ, მაგრამ ჯერ არ ვიცით, თვითონ რომელ სახეობას აირჩევს. ალბათ, ჩემსავით მხატვრულ ტანვარჯიშს გაჰყვება.

...კიევის უზარმაზარ სტადიონზე კვლავ გაისმა თამარ გვერდწითელის „მშვიდობით, მეფე!“ ოლეგ ბლოხინმა ტრიბუნებს საპატიო წრე შემოუარა, მიკროფონთანაც ელოდნენ სიტყვით, მაგრამ ამაოდ — აღელვებულ ფორვარდს თვალთაგან ღაპაღუპით ცრემლი სდიოდა. მიხაროდა და ერთდროულად გულიც მეკუმშებოდა. რატომ ჩვენც არ ვიცით ასეთი გაცილება, მოფიქრებულობასა და გემოვნებაში ჩამოვუვარდებით ვინმეს თუ რა? უბრალოდ, ალბათ, გულგრილნი ვართ. სხვაზე რომ არა ვთქვა რა, ფეხბურთიდან თვით ბორის პაიჭაძეც არ გაგვიცილებია!

...ავტოგრაფებზე მონადირე გულშემატკივრების ალყიდან ოლეგ ბლოხინი სტადიონიდან ძლივს გააპარეს „იუვენტუსის“ კლუბის მიერ კიევის „დინამოსათვის“ ნაჩუქარი კოხტა ავტობუსით. ბეკენბაუერმა, ბრაიტნერის საკუთარი თვითმფრინავით კურსი სამშობლოსაკენ აიღო, კიევი ეთხოვებოდა დიდ ფეხბურთს...

ოთარ ნოზაძე.

„ლელოს“ სპეც. კორ. კიევი.

მიკოლა ბოჩიკის
(„სპორტივნაია გაზეტა“)
ფოტოები.
სპეციალურად „ლელოსთვის“.

საკავშირო ახალგაზრდული სპორტული თამაშები

1989

მედეა მხეიძე აგდებს ქომაგებს

თბილისიდან გამომგზავრებამდე საქართველოს კალათბურთელ გოგონათა გუნდის მწვრთნელები გულისტკივილს გამოთქვამდნენ უიღბლო კენჭისყრის გამო. ხუმრობა ხომ არ იყო. ისინი ქვეჯგუფში მოხვდნენ ისეთ ძლიერ საკალათბურთო რესპუბლიკებთან, როგორებიცაა ლატვია, ესტონეთი და რსფსრ. პირველი თამაში საქართველოს ნაკრებმა ლატვიის გუნდთან გამართა. თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ტაიმის მიწურულს ბალტიისპირელები დაწინაურდნენ 31:29. შესვენების შემდეგ მთელი ძალით ითამაშა ჩვენი გუნდის ლიდერი მედეა მხეიძე (მან ამ დღეს ნაკრებს 30 ქულა შესძინა). საქართველოს კალათბურთელები უშეცდომოდ მოქმედებდნენ როგორც დაცვაში, ისე შეტევების დამაგვირგვინებელ ფაზაში. საბოლოოდ მათ იმარჯვეს — 71:64.

ესტონეთის ნაკრებთან შეხვედრისას მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. პირველი წუთის შემდეგ, როცა ანგარიში იყო 2:2, ინიციატივას ჩვენი სპორტსმენები დაეუფლნენ. ფარიდან ასხლეტილი თითქმის ყველა ბურთი მათი ნადავლი ხდებოდა, შეტევების უმრავლესობა კი შედეგიანი ტყორცნებით მთავრდებოდა. მეათე წუთისთვის ანგარიშში სხვაობამ 12 ქულას მიაღწია. პირველი ტაიმიც ჩვენებმა მოიგეს — 38:19. შესვენების შემდეგაც სურათი არ შეცვლილა. საქართველოს სპორტსმენების უპირატესობა აშკარა იყო და დიდი ანგარიშითაც გაიმარჯვეს — 76:48. მათ აქტივში მეორე „დაუგეგმავი" გამარჯვება ჩაიწერეს. მედეა მხეიძემ ამ დღეს 45 ქულა მოაგროვა.

საკავშირო ახალგაზრდული თამაშების დაწყებამდე ჩვენი ჭაბუკები უფრო ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი, მიუხედავად იმისა, რომ წილისყრამ მათ ლიტვის, რსფსრ-ისა და სომხეთის გუნდების სახით მეტად ძლიერი გუნდები შეახვედრა. პირველი მატჩი ლიტველებთან მეტად დაძაბული, მიმზიდველი და დრამატულიც გამოდგა. შეხვედრის პირველ ნახევარში უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია. და შესვენებაზე თანაბარი ანგარიშით (31:31) წავიდნენ.

მეორე ტაიმი უფრო დაიძაბა. მეათე წუთისთვის ჩვენები 3 ქულით დაწინაურდნენ. შეხვედრის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე ჩვენს ბიჭებს მხოლოდ ერთქულიანი უპირატესობა ჰქონდათ და ბურთსაც ისინი ფლობდნენ, მაგრამ შეტევისას შეცდომა დაუშვეს, ბალტიისპირელთა შედეგიანი კონტრშეტევა და ისინი დაწინაურდნენ — 68:67.

საფინალო სასტვენამდე წამებიღა რჩებოდა, როცა დავით ვაშაკიძეს უხეშად ეთამაშნენ. მსაჯებმა ლიტველი სპორტსმენები დააჯარიმეს. ვაშაკიძემ ორივეჯერ აუღელვებლად ტყორცნა და ორივე ბურთი ჩააგდო. საქართველოს გუნდმა პირველი გამარჯვება იზეიმა.

რუსეთის ფედერაციის კოლექტივთან შეხვედრაში ჩვენმა ბიჭებმა სათანადოდ ვერ ჩაატარეს მატჩი და დამარცხდნენ 70:79. მედლებისთვის ბრძოლის შანსი კვლავ რჩება.

ცინცხალი ცნობა: საქართველო — სომხეთი 71:69.

• • •

ვოროშილოვგრადი. მაგიდის ჩოგბურთი. გოგონათა ასპარეზობაში საქართველოს გუნდი წარუმატებლად გამოდის. იგი დამარცხდა მოსკოვის (0:5), ბელორუსიის (1:5) და თურქმენეთის (4:5) წარმომადგენლებთან.

ჭაბუკებს ერთი მოგება და ერთი წაგება აქვთ. ყაზახეთის ნაკრები ჩვენებმა დაამარცხეს ანგარიშით 5:1, აი, ბელორუსიასთან კი დათმეს ორთაბრძოლა — 2:5.

ცხენოსნობა. არავითარი ობიექტური გამართლება არა აქვს ჩვენი მხედრების წარუმატებლობას. გულსატკენი მხოლოდ ისაა, რომ ცხენთა საუკეთესო შემადგენლობით გუნდმა ვერ შეძლო შესაძლებლობების სრულად გამოვლენა. მოხდა რამდენიმე უცნაური შემთხვევა, რამაც წყალში გადაყარა ამდენი ნაშრომ-ნაამაგარი. მაგალითად, დაბრკოლებათა გადალახვაში „ახალგაზრდულ დიდ პრიზზე" რ. კვარაცხელია სავარჯიშო მოედანზე დადგმულ ერთადერთ წინაღობაზე მეორე მხრიდან გადახტა (რაც წესით იკრძალება) და შეჯიბრებაზე აღარ დაუშვეს. სამჭიდელებიდანაც ორი მხედარი დაბრკოლებათა გადალახვის წესის დარღვევისთვის მოხსნეს ასპარეზობიდან. არადა, სამჭიდში ამ გუნდს წარმატებისა ყველაზე დიდი შანსი ჰქონდა.

როგორც ვიტყობინებოდით, საქართველოს ნაკრებიდან ჩათვლა მხოლოდ „ცხენის გაწვრთნაში" მოასპარეზეებმა მიიღეს (VII ადგილი). საბოლოოდ საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩვენი მხედრები XIII ადგილზე დარჩნენ.

ზაპოროჟიე. მოფარიკავეთა ტურნირის საბოლოო გუნდური შედეგები ასეთია: 1. რუსეთის ფედერაცია, 2. უკრაინა, 3. ყაზახეთი. საქართველოს სპორტსმენებს მეცხრე ადგილი ხვდათ.

სსრ კავშირის თასზე

„გურია" გამარჯვებით იწყებს

29 და 30 ივნისს დაიწყო ფეხბურთში სსრ კავშირის თასის 1989-90 წლების გათამაშების მეთექვსმეტედფინალის შეხვედრები, შეჯიბრებაში უმაღლესი ლიგის გუნდებიც ჩაებნენ.

„გურია" (ლანჩხუთი) —

„შახტიორი" (დონეცკი) 1:0 (1:0)

ლანჩხუთი. „გურიის" სტადიონი. 29 ივნისი.

„გურია": ქანთარია, ტყებუჩავა, ოლეფირენკო, დანელია, კაბისაშვილი, ცომაია, ჟორდანია, დოზმოროვი, კორძაღლიძე, ფრიდონაშვილი, უგრელიძე (თევზაძე)

„შახტიორი": შიპოვსკი, რალევიჩი, პოდპალი, სერდიუკი (გოშკოდერია), ევსეევი, ლეონოვი, იაშჩენკო, გულიაევი, პეტროვი, კობოზოვი (შჩერბაკოვი), გრაჩოვი.

მსაჯი ა. რუმიანცევი (ლენინგრადი).

თასის ეს მატჩი ორივე გუნდის ფეხბურთელებმა სრული მონდომებით და ენერგიით ჩაატარეს. როგორც სტუმრები, ისე მასპინძლები ხშირად ჰქმნიდნენ საზიფათო მომენტებს, კერძოდ, ბურთის გატანის შესაძლებლობანი ჰქონდათ გრაჩოვს, პეტროვს, აგრეთვე, ჟორდანიას, ფრიდონაშვილს, დოზმოროვს. ლანჩხუთელთა შემადგენლობაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ნახევარდაცვის რგოლი, რომელიც აქტიურად იბრძოდა მთელი მატჩის განმავლობაში.

თამაშის ბედი გადაწყვიტა ჟორდანიას მიერ 11-მეტრიანით გატანილმა ბურთმა. ეს ასე მოხდა: „შახტიორის" საჯარიმო მოედანზე ღია პოზიციაში გავიდა დოზმოროვი, მასთან შეტაკებისას თამაშის წესი დაარღვია ერთ-ერთმა მცველმა. მსაჯმა 11-მეტრიანი დანიშნა და ჟორდანიამ ზუსტად დაარტყა მიზანში — 1:0.

ასევე შეუნელებელ ბრძოლაში მიმდინარეობდა მატჩის მეორე ნახევარი, „გურიამ" შეძლო მინიმალური ანგარიშის შენარჩუნება.

ავთანდილ ორმოცაძე
(ტელეფონით „ლელოს" კორ.).

• • •

მეთექვსმეტედფინალის სხვა შეხვედრათა შედეგები: ცსკა — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) 1:1, „ნეფთჩი" (ბაქო) — „როტორი" (ვოლგოგრადი) 2:1, „დინამო" (სტავროპოლი) — „დინამო" (მოსკოვი) 1:3, „ამური" (ბლაგოვეშჩენსკი) — „მეტალისტი" (ხარკოვი) 2:3, „ვორსკლა" (პოლტავა) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) 1:0, „შინიკი" (იაროსლავლი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 0:1, „ტექსტილშჩიკი" (ტირასპოლი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 2:2, „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) 0:1. მეთექვსმეტედფინალის დანარჩენი შეხვედრები გაიმართა გუშინ, აღნიშნულ წყვილთა საპასუხო მატჩები გაიმართება ივლისის შუა რიცხვებში.

თბილისის „დინამო" მეთექვსმეტედფინალის შეხვედრებს ნამანგანის „ნავბახორთან" თბილისში ჩაატარებს 16 და 17 ივლისს.

დუბლიორთა მატჩი გადატანილია

დღეს თბილისის „დინამოს" სტადიონზე უნდა გამართულიყო ფეხბურთში უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის სათადარიგო შემადგენლობათა შეხვედრა თბილისის „დინამოსა" და ლენინგრადის „ზენიტს" შორის.

დღეს ეს მატჩი არ შედგება. მხარეთა შეთანხმებით, ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა ორივე წრის შეხვედრები გაიმართება ლენინგრადში (ძირითადი შემადგენლობები ლენინგრადში თამაშობენ 10 ივლისს).

მწვრთნელებს იწვევენ

მიმდინარე წლის 4 ივლისს 12 საათზე საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოში გაიმართება რესპუბლიკის უმაღლესი, პირველი და მეორე ლიგების ოსტატთა გუნდების მთავარ მწვრთნელთა თათბირი საფეხბურთო ლიგების კავშირის შექმნასთან დაკავშირებით. დღეს წესრიგშია წესდების პროექტის განხილვა. ა

სპორტული ივლისი

5-10. წყალბურთი. საქართველოს სსრ ჩემპიონატი — II ტური **ქუთაისი.**

21-23. ცურვა. საქართველოს სსრ პირველობა — **ხობი.** („მომავალი ოლიმპიელები ჩვენს შორის არიან") — ჭაბუკები 1975-1978, გოგონები — 1976-1979 წლებში დაბადებულნი.

26-28. აკრობატიკა. საქართველოს სსრ თასი. **თბილისი.**

მაია ჩიბურდანიძე — ფილადელფიაში

გუშინ ამერიკის ქალაქ ფილადელფიაში დაიწყო დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომლის მონაწილეთა შორის არიან საბჭოთა მოჭადრაკეები — მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, დიდოსტატები ედუარდ გუფელდი, მიხეილ გურევიჩი, ლევ ფსახისი, სერგეი სმაგინი, ალექსანდრე ჩერნინი. დიდოსტატებმა ხუთ დღეში ათი პარტია უნდა გაითამაშონ.

ახალი რეიტინგები

ლიუცერნში (შვეიცარია) ფიდე-ს სამდივნომ გამოაცხადა მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა რეიტინგები 1989 წლის 1 ივლისისთვის. **ქალები:** იუდიტ პოლგარი — 2555 ქულა, ჟუჟა პოლგარი — 2520, მაია ჩიბურდანიძე — 2495, პია კრამლინგი — 2480, ნანა იოსელიანი — 2470; **ვაჟები:** გარი კასპაროვი — 2775, ანატოლი კარპოვი — 2755, ვასილი ივანჩუკი, ნაიჯელ შორტი — 2660-2660.

პროფესიული კალათბურთის ამბები

ნიუ-იორკი. ამერიკული პროფესიული კალათბურთის „ვარსკვლავი", 44 წლის კარიმ აბდულჯაბარი ადვილი შესაძლებელია საცხოვრებლად გადავიდეს ევროპაში. ჯაბარისადმი გარკვეულ ინტერესს იჩენენ იტალიის კლუბები და საკმაოდ სოლიდურ წინადადებებსაც სთავაზობენ. იგი, როგორც ცნობილია, დიდხანს თამაშობდა „ლოს-ანჯელეს ლეიკერსში" და ამ პოპულარული პროფესიული კლუბის ყველა წარმატების ერთ-ერთი თანაავტორთაგანი იყო.

ზაგრები. ევროპის ჩემპიონები, იუგოსლავიელი კალათბურთელები ვლადე დივაცი (სიმაღლე 212 სანტიმეტრი) და დინო რაჯა (210 სმ) ნბა-ს პროფესიონალთა ჩემპიონატში ითამაშებენ. დივაცმა ხელი მოაწერა კონტრაქტს „ლოს-ანჯელეს ლეიკერსთან", რაჯამ კი „ბოსტონ სელტიკსთან".

ამერიკელი პროფესიონალები დიდ ინტერესს იჩენენ კიდევ ერთი იუგოსლავიელი კალათბურთელისადმი. ეს გახლავთ ეროვნული ნაკრების დღევანდელი ლიდერი და ახლახან დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე დრაჟენ პეტროვიჩი, რომელიც ამჟამად მადრიდის „რეალის" ღირსებას იცავს. პეტროვიჩთან მოლაპარაკება აქვს ამერიკის პროფესიულ კლუბ „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერს".

იახტით მსოფლიოს ირგვლივ

ფოთი. საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე დიდ სავაჭრო პორტში მოეწყო მაქსი-კლასის საკრეისერო იახტის საზეიმო ნათლობა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის ხომალდი ჩვენს ქვეყანაში პირველად აიგო. სამუშაოებს აწარმოებდა ადგილობრივი გემთსაშენი-სარემონტო ქარხანა დასავლეთ გერმანულ საწარმო „ფაზის სპ"-სთან კონტაქტით. იახტამ მონაწილეობა უნდა მიიღოს საერთაშორისო საიალქნო რბოლაში „ვიტბერტ 89-90"-ში.

ხომალდის მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა საქარხნო სამუშაო ფაქტიურად დამთავრდა. ამ დღეებში იახტას ჩაიტანენ სოხუმში, იქიდან კი თვითმფრინავ „რუსლანით" კიევის გავლით ინგლისში გააგზავნიან. იქ დამთავრდება ხომალდის ხელსაწყოთა მონტაჟი.

ინგლისური ფირმის „დაივეს იახტ სერვიზ ლტდ"-ის ერთ-ერთმა სპეციალისტმა — ელექტრიკოსმა განაცხადა, რომ საბჭოთა ხომალდის მონაწილეობა რეგატაში, თავის თავად მოულოდნელი და სასიამოვნო სიახლეა. ხომალდი ორიგინალური კონსტრუქციითა და უჩვეულო დიზაინით გამოირჩევა. ჩვენი ფირმა, — თქვა სპეციალისტმა, — ამ რბოლისთვის უმზადებს ხომალდებს ინგლისს, შვეციას, შვეიცარიას და ახალ ზელანდიას. მათთან ერთად გამარჯვების ერთ-ერთი პრეტენდენტი, უსათუოდ, საბჭოთა ხომალდიც იქნება.

უიმბლდონის სიურპრიზები

ლონდონი. მიუხედავად იმისა, რომ უიმბლდონის საჩოგბურთო ტურნირის მონაწილეებს ამინდი არ წყალობს, ყოველდღიურად 18 კორტზე მიმდინარე შეხვედრებს 27 ათასი მაყურებელი ესწრება. დაუმატეთ ამას ტელემაყურებელთა 500 მილიონიანი არმია, რომელიც ინტერესით ადევნებს თვალს პირდაპირ გადაცემებს. უიმბლდონის ტურნირისადმი ინტერესი მსოფლიოში მართლაც დიდია.

საბჭოთა კავშირის გუნდი ამ შეჯიბრებაზე გარკვეულ იმედებს ამყარებდა და ეს იმედები ჩვენი წამყვანი ჩოგბურთელების ბოლოდროინდელი წარმატებების გათვალისწინებით საფუძველს არ იყო მოკლებული, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ, ბრძოლას პირველსავე ტურში ექვსიდან ხუთი ჩოგბურთელი გამოეთიშა.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით იმის შესახებ, რომ სტარტზევე წაიბორძიკეს და ბრძოლა ფაქტიურად უკვე შეწყვიტეს ანდრეი ჩერკასოვმა (დამარცხდა ამერიკელ ჯიმი კონორსთან), ალექსანდრე ვოლკოვმა (დამარცხდა დასავლეთგერმანელ ერიკ ელენთან) და ანდრეი ჩესნოკოვმა (დამარცხდა ავსტრალიელ ბრედ დრევეტთან). ახლა მათ შეუერთდნენ ანდრეს ვესანდი, რომელსაც ამერიკელმა სემ დევისმა აჯობა 6:4, 1:6, 6:4, 6:4 და ლარისა სავჩენკო. მასაც ასევე ამერიკელმა დონი ფაბერმა მოუგო 6:1, 2:6, 6:2, შეჯიბრებას განაგრძობს მხოლოდ ნატალია ზვერევა.

ვაჟთა ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება ჩეხოსლოვაკიელი ივან ლენდლი, რომელსაც აქვს ჩოგბურთში ყველა უმაღლესი ტიტული, აი უიმბლდონის ჩემპიონი კი არცერთხელ არ ყოფილა. ლენდლი უკვე მესამე წრეში გავიდა (შვედ რონი ბატმანთან გამარჯვების შემდეგ — 6:7, 6:3, 6:2, 6:2).

ტურნირის ერთ-ერთ მთავარ სენსაციად ითვლება 36 წლის ამერიკელ ჯიმი კონორსის მარცხი მეორე წრეში. იგი ახალგაზრდა თანამემამულესთან დენ გოლდისთან წაგების შემდეგ (6:7, 7:5, 4:6, 2:6) გამოეთიშა ასპარეზობას.

არანაკლებ მოულოდნელი აღმოჩნდა მსოფლიოს მესამე ჩოგნის არგენტინელი გაბრიელა საბატინისა და აშშ-ში მცხოვრები სამხრეთაფრიკელი როზალინ ფაირბანქსის შეხვედრის შედეგი. საბატინი გამოეთიშა გათამაშებას — 4:6, 3:6. ასევე ტურნირს აღარ განაგრძობს ზინა ჰარისონი (აშშ). იგი ავსტრალიელმა ლუიზა ფილდმა დაამარცხა 1:6, 6:2, 7:5.

გთავაზობთ ვაჟთა ტურნირის ზოგიერთი ფავორიტის ორთაბრძოლის შედეგებს: ჯონ მაკინროუ (აშშ) — რიჩი რემბერგი (აშშ) 6:3, 3:6, 6:3, 7:5. მიროსლავ მეჩირჟი (ჩეხოსლოვაკია) — მარკ კრატცმანი (ავსტრალია) 6:7, 4:6, 6:1, 7:5, 7:5, ბორის ბეკერი (გფრ) — რიჩარდ მატუშევსკი (აშშ) 6:3, 7:5, 6:4, მატს ვილანდერი (შვეცია) — კარელ ნოვაჩეკი (ჩეხოსლოვაკია) 6:3, 6:0, 6:3.

რედაქტორი
თ. ბაჩეჩილაძე.

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის გამზირი, 74)
1 ივლისი
რაგბი
სსრ კავშირის ჩემპიონატი
„ელმავალი" (თბილისი) — ასკ (ალმა-ათა)
დასაწყისი 19 საათზე
გათამაშდება ლატარია „ქიგულის" ურიგოდ შეძენის უფლების მოსაპოვებლად.

ინდექსი 46435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარა ულის ქ. 29. უე 07158